ᲨᲞᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲡᲐᲐᲕᲘᲐᲪᲘᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის დასახელება

შვეულმფრენის კომერციული პილოტი - Aircraft flight exploitation (CPL-H)

საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია, პროფესიული განათლების მეხუთე დონე.

სწავლების ენა- ინგლისური

პროგრამის მიზანი

პროფესიული პროგრამის მიზანია საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის სფეროში EASA-ს (ევროპის საავიაციო უსაფრთოხების სააგენტოს) სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟის წევრების მიმართ დადგენილი მოთხოვნებისა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის #150 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ შესაბამისად უზრუნველყოფს საერთაშორისო ბაზარზე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელსაც ექნება კომერციული პილოტის მოწმობის მოსაპოვებლად საჭირო ყველა ცოდნა და კომპეტენცია.

დასაქმების სფერო და კარიერული შესაძლებლობები

დასაქმების სფეროა ავიაცია. კომერციულ პილოტს შეუძლია იმუშაოს ერტი პილოტით საფრენად სერტიფიცირებულ საჰაერო ხომალდზე მეთაურის რანგში, ასევე მართოს პირადი შვეულმფრენი. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, ფრენისთვის აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაიცეს პილოტის მოწმობა.

ჩარიცხვა/დაშვების წინაპირობა

- სწავლის ხანგრძლივობა: 2 წელი
- მინიმალური ასაკი 17 წელი
- დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
- შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული პირველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატი. (საავიაციო-სამედიცინო-საექსპერტო კომისიის მიერ გაცემული პრველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატი)
- B2 დონის შესაბამისი ზოგადი ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება ან ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენა.

შპს საქართველოს
საავიაციო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა, მოცულობა და მოდულები

პროფესიული პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, მათ შორის პრაქტიკული სწავლება მოიცავს საფრენოსნო მომზადებას 135 ფრენა/საათის მოცულობით.
პროგესიული პროგრამის განხორციელება დაიწყება ზოგადი მოდულებით, შემდეგ პროფესიული/დარგობრივი მოდულები განხორციელდება კურაციული სისტემით, ხოლო პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებულია პროგრამის ბოლო ეტაპზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

შვეულმფრენის საფრენოსნო ექსპლუატაციის მიმართულებით: ,,ვიზუალური ფრენის წესებით“ ფრენისა და ღამის ფრენების შვეულმფრენით შესრულება, ფრენისათვის საჭირო მეტეოროლოგიური ინფორმაციის მოძიება/დამუშავება, სანავიგაციო სისტემებით შვეულმფრენის მართვა.

კურსდამთავრებულს მიენიჭება მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში. Fifth level of professional qualification of aircraft flight exploitation (CPL)

საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო პირი:
გიორგი ინასარიძე
რექტორის მოადგილე საფრენოსნო მომზადების დარგში
მობ: + 995 599 74 20 40